ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის

ილია მამალაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან 2014 წლის 2 აგვისტოდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც განვლილ 5 თვეს მოიცავს ჩემს საქმიანობას ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონით (ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ასევე, შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხდებოდა ყოველთვიურ რეჟიმში. მიუხედავათ ამომრჩეველთა მიღების დადგენილი დღისა, შეხვედრებს წარვმართავდი ყოველდღიურად, როგორც სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უბნებში მისვლით.

მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფლი თანხით შეძენილი იქნა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც ახალი მარშრუტით ყოველდღიურად ემსახურება სოფლის მოსახლეობას.

მივმართე საკრებულოს თხოვნით ავტობუსის გამართული მუშაობისთვის გამოეყოთ თანხა, რაც გაითალისწინეს და დაკმაყოფილებულ იქნა 2015 წლიდან შესაბამისად ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება მოსწავლეებსა და შეჭირვებულ მოსახლეობას.

ექსპლუატაციაში შევიდა წყალსადენი, რომელიც ორი სოფლის, ასკანა-მზიანის 504 კომლს ამარაგებს სასმელი წყლით.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის პროცესში დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მისი შესაბამისი სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით მრავალ ოჯახს გაეწია დახმარება:

ოთხ ოჯახს გადაეცა თუნუქის სახურავი;

წინა საახალწლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გაიცა დახმარება;

საშემოდგომო მოსავლის ასაღებად შეკეთდა გზების გარკვეული მონაკვეთი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება 2015 წელს სოფ. ასკანის გზების მოასფალტების შესახებ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ გასულ საანგარიშო პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ჩაის კულტურის აღორძინებასა და ვაზის ძირძველი ჯიშების გაშენებას.

იქმნება კოოპერატივები.

საკრებულოს ინიციატივით განხორციელდა არაერთი ღონისძიება:

შევქმენით მუნიციპალიტეტში მოქმედი წესი საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

დავადგინეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საჯარო სამსახურში კონკურსის წესით დანიშნული იქნა კადრები;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ორ ქუჩას მივანიჭეთ სახელი;

გავზარდეთ მშენებლობის მოსაკრებლის ტარიფი საკურორტო ზონაში 5 ლარამდე, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვას. ამასთან ერთად არ არსებობს მშენებლობის ბიზნესის ხელშეშლის ფაქტორი.

მნიშვნელოვანია ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც შეადგენს 50 000 ლარს. ამ თანხით დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ 100% გრანტს. ასეთი სტუდენტი დასაჩუქრდება 3000 ლარით, სკოლა -1000 ლარით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ნაცვლად 100 ლარიანი პაკეტისა ერთჯერადად მიიღებს 150 ლარს.

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ვარ 2 კომისიის წევრი:

1. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია.
2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

ვესწრები კომისიის მიერ ორგანიზებულ ყველა სხდომას და აქტიურად ვმონაწილეობ მის საქმიანობაში.

ამომრჩეველთა მიღებისა და შეხვედრის დროს გამოიკვეთა პრობლემები:

სოფლის ცენტრალური და შიდა გზების მოწესრიგება;

მოსახლეობის დასაქმება;

გაზიფიცირება;

ნაპირსამაგრი ჯებირების გაკეთება მდინარე სუფსაზე;

სოფლად სანაგვე ბუნკერების დადგმა;

სასაფლაოების მოვლა-დასუფთავების ორგანიზება.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თოთხმეტივე სხდომის მომზადებასა და მუშაობაში. მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

ჩემი გამოცდილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მზად ვარ აქტიურად ვითანამშრომლო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელ ორგანოებთან, რაც დამეხმარება 2015 წელს სოფლის წინაშე მდგარი პრრობლემების მოგვარებასა და გადაწყვეტაში.